საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაწიმი

მაწიმი (ყოფ. ცოდნა), სოფელი კახეთის რეგიონის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდ. მაწიმის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: მ., რაჭისუბანი). ზ. დ. 380 მ., ლაგოდეხიდან 4 კმ, 618 მცხ. (2014).

სოფლის აღმ-ით, ოთხასიოდე მ-ზე, მდ. მაწიმის მარცხ. ნაპირზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში დგას ძელიცხოვლის დარბაზული ეკლესია, რ-იც ადრინდ. შუა საუკუნებით თარიღდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1_{IV}, თბ., 2021.